პროლეტარეპო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

7 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 233 (9900) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები

ვისთვის მოიგონეს კიმონი?

საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობით უორს [illegible]

ანაბაჯი ლეგენდად დარჩა ხალხში, მაგრამ საქართველოში მოჭიდავე ქალს მაინც სხვა თვალით უყურებენ. ამას ჩივის ძიუდოისტ გოგონათა ყველა მწვრთნელი, რომლებსაც ეს საქმე დაავალეს ანდა თვითონ ითავეს. თუმცა ჭიდაობის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით ძიუდო ნაკლებად მოითხოვს ძალას. მას უფრო ის თვისებები სჭირდება, რითაც „სუსტი არსებაა“ დაჯილდოებული — მოქნილობა, სისწრაფე, მეტოქეობის გრძნობა კი ქალებს, მოგეხსენებათ, არ აკლიათ.

იმის მტკიცებას არ ვაპირებთ, თითქოს ქალები პირდაპირ ძიუდოსთვის არიან დაბადებული, მაგრამ, რადგან არსებობს სპორტული ჯგუფები ქალთა ძიუდოში, სპორტსმენებსა და მწვრთნელებს პასუხს სთხოვენ შედეგებისათვის. ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში ჩვენი გუნდი მარცხიანად გამოვიდა — 22-ე ადგილზე დარჩა. ახლა კარს საკავშირო ახალგაზრდული თამაშები მოგვადგა და, ცხადია, უფრო ძლიერი გუნდის დაკომპლექტებაა საჭირო.

64 გოგონა მონაწილეობდა რესპუბლიკის IV ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ძიუდოისტთა შეჯიბრებაში, რომელიც თბილისის განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა. ისინი სულ 10 გუნდის წარმომადგენლები იყვნენ. გუნდების რაოდენობა მცირე არ არის, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქალთა ძიუდო ჩვენში ფაქტობრივად ახლა იკიდებს ფეხს. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ექსპერიმენტია მხოლოდ — მწვრთნელთა უმრავლესობა საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებს მოწაფეებს. მათ სხვა დაბრკოლებებიც აქვთ.

ჯგუფი გურამ ბაბიტაშვილის თაოსნობით შეიქმნა. მეტს მოგვცემ გვინდა, მაგრამ ბევრი მშობელი აყენებს ეჭვქვეშ ამ ადამიანის ნებისყოფას. ასევე პირადი თაოსნობით, ანაზღაურების გარეშე მუშაობენ ძიუდოისტ გოგოებთან ახმეტის სპორტსკოლის დირექტორი გუგული აბრამიშვილი და მისი ბათუმელი კოლეგა, ქალაქის განათლების განყოფილების სპორტსკოლის დირექტორი თამაზ კილაძე... „ხელფასი ხელფასად, მაგრამ არც სხვა მხრივ გვაქცევს უურადღებას ჩვენი სპორტკომიტეტი“ — გვითხრა თ. კილაძემ.

მუშაობა გააძლიერეს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებამ, თუმცა პრიორიტეტი მაინც თბილისის ასკ-ს ეკუთვნის, რომლის ექვსი წარმომადგენელიც IV ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი გახდა. ახალი სპორტული კომპლექსის აშენება უკვე დაიტყო არმიელ სპორტსმენთა შედეგებს.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გოგონათა მშობლების წინააღმდეგობაა. თუმცა ისინი, ვისი შვილებიც უკვე გაეცნენ ძიუდოს, სხვა აზრისანი არიან და ამაში მიუღებელს

თამაზ მინდიაშვილი, ცხინვალელი მწვრთნელი: — ქალაქში მარტო მე ვავარჯიშებ ძიუდოისტ გოგოებს, ერთი ჯგუფი მყავს. ამისთვის ხელფასს არ ვიღებ, თუმცა ჩვენი გოგოები უკვე მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. არც სავარჯიშო პირობები გვაქვს: კიდევ კარგი, ამ შეჯიბრების წინ სამხრეთ ოსეთის სპორტკომიტეტმა საწვრთნელი შეკრება მოგვწყო, რაც მაღალი შედეგის მოპოვებაში დაგვეხმარა (ცხინვალის გუნდმა II ადგილი დაიკავა).

ბონდო აბესაძე (ქუთაისი): — არც ფორმები გვაქვს, არც საშხაპე, არც ხელფასს ვიღებ, თუმცა ჩვენმა გუნდმა საქართველოს უნივერსიადაც მოიგო, პროფკავშირთა პირველობაც და აქაც ორი გოგონა ჩემპიონი გახდა. დიდი ჯგუფი მყავს, სამოც მოწაფემდე იქნება. ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვმუშაობ და გოგოებსაც იქ ვავარჯიშებ. რექტორმა ჩვენი გასაჭირი გაიგო და თანხა გამოგვიყო კიმონოების შესაძენად. ოღონდ სპორტკომიტეტმა უნდა იშოვოს ფორმები, თორემ ის თანხა გამოუყენებელი დაგვრჩება.

გივი საბაშვილი (გორი): — მეც საზოგადოებრივ საწყისებზე ვავარჯიშებ ერთ ჯგუფს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დარბაზში. ვერაფერს ხედავენ (მათ დარბაზში გავესაუბრეთ), თვლიან, რომ ძიუდო ხელს არ უშლის გოგოების ნორმალურ განვითარებას. ველაპარაკეთ მედიცინის მუშაკსაც, რომელიც შეჯიბრებას ემსახურებოდა, არც ერთი დაშავების შემთხვევა, ათიოდე მსუბუქი დაჟეჟილობა ან მცირე განაკაწრი — ასეთი იყო ასპარეზობის „ტრავმების“ ნუსხა. თუმცა, ცხადია, ეს სერიოზულ საბუთად არ გამოდგება ქალთა ძიუდოს სასარგებლოდ.

საერთოდ, იქნებ არ ღირდეს გაგაგაზის ატეხა ძიუდოისტი გოგოების კონკრეტული წარუმატებლობის გამო, მაგრამ ენთუზიასტებს ნამდვილად სჭირდებათ ხელის შეწყობა.

გიორგი ჩოჩიშვილი

21 3 ᲙᲕᲐᲠᲘᲗᲚᲔᲑᲘ

48 კგ. 1. ელენე კელიხაშვილი (თბილისი); 2. მარინა კოტოევა (ვანი); 3. ლარისა კლიმენკო (თბილისი-2) და შორენა ლუთიძე (ბათუმი).

52 კგ. 1. ანგელინა კნიაზევა (ქუთაისი); 2. რენა შავერდოვა (თბი-

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს სპორტსახკომში

გუშინ საქართველოს სპორტსახკომში გაიმართა კოლეგიის სპეციალური სხდომა, რომელიც მიეძღვნა სტუდენტთა საკავშირო თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამოსვლის შედეგების განხილვას.

სტუდენტთა სპორტი დიდი სპორტის საურდენია და თუ ამ მნიშვნელოვან რგოლში მუშაობა არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, მაშინ შეუძლებელია ფიქრი მაღალ სპორტულ წარმატებებზე. ვიყენებთ თუ არა სრულად რესპუბლიკაში სტუდენტთა სპორტის განვითარებისათვის არსებულ შესაძლებლობებს და რეზერვებს? ამ კითხვაზე კოლეგიის წევრებმა ერთნაირ პასუხი გასცეს — არა. იქვე დაუფარავად ამხილეს მიზეზებიც: ესაა უსისტემობა და უწყებრიობა, უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრებისა და სპორტული კლუბების გათიშულობა, ესაა ამავე დროს არასახარბიელო დაფინანსება, სპორტული ჯგუფების სიმცირე და სპორტულ ასპარეზობათა კალენდრის სიღარიბე, მივიწყებულია უმაღლესი სასწავლებლების ოდესღაც პოპულარული ურთიერთშეხვედრები სპორტის ცალკეულ სახეობებში, რომელიც მხოლოდ სტუდენტებში როდი იწვევდა დიდ ინტერესს. უოველივე ამან განაპირობა ის, რომ სტუდენტთა სპორტი დღეს ვერ დგას სასურველ დონეზე, ზოზინი იგრძნობა მისი გარდაქმნის ტემპში.

რესპუბლიკაში ბოლო ხანებში სპორტულ მოძრაობაში მომხდარი ცვლილებებისა და სხვადასხვა კომპლექსურ ღონისძიებებში მიღწევების ფონზე საკავშირო უნივერსიადაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიერ მოპოვებული შედეგები კოლეგიამ არასაკმარისად ჩათვალა. ამასთან, კოლეგიაზე გამოითქვა რწმენა, რომ დღეს, როცა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორები ესოდენ დიდ პირად დაინტერესებას იჩენენ სტუდენტთა სპორტისადმი, სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად უთუოდ გამოინახება ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორების გზები.

(იხ. მე-2 გვ.).

ოთხი ტურნირი ერთ ჭერქვეშ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ერთდროულად ოთხი ტურნირი მიმდინარეობს.

დედაქალაქის ვაჟთა მე-60 ჩემპიონატში, რომელიც წრიული სისტემით ტარდება, 16 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის ერთი ქალია, თბილისის სამგზის ჩემპიონი, ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი, ოსტატობის კანდიდატი ლელა თანდაშვილი.

წილისყრის მიხედვით მონაწილენი ასეთი თანამიმდევრობით გაწლაგდნენ სატურნირო ცხრილში: დავით პაქსაშვილი, იური ნეჩაევი, გია ცქიტიშვილი, გივი გოგიჩაიშვილი, თემურ ხანთაძე, ვასილ ვაშაკიძე, დავით დაბრუნდაშვილი, ბესიკ სხილაძე, იური ჩიქოვანი, რევაზ სიგუა, ლელა თანდაშვილი, დავით ლობჟანიძე, ემილ მიქაელიანი, სერგეი მოვსესიანი, პაატა მესტვირიშვილი, ვასილ ხაჩიძე.

გთავაზობთ I ტურის ტექნიკურ შედეგებს: პაქსაშვილი-ხაჩიძე — 1:0, ცქიტიშვილი-მოვსესიანი — 1:0, ხანთაძე-ლობჟანიძე — 1:0, დაბრუნდაშვილი-სიგუა — 0:1, სხილაძე-ჩიქოვანი — 0:1, ვაშაკიძე-თანდაშვილი — 0,5:0,5, გოგიჩაიშვილი-მიქაელიანი — 0,5:0,5. ნეჩაევისა და მესტვირიშვილის პარტია გადაიდო.

1971 წელსა და უფრო გვიან დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაზე III ტურის შეხვედრები მოეწყო.

გოგონები: III ტური: მოდებაძე-ეძგვერაძე — 0:1, გრიგალაშვილი-ღლონტი — 1:0, როჭიკაშვილი-ლებანიძე — 0:1, სახოკია-ლომინეიშვილი — 0:1, ნიკოლაძე-ფაჩულია — 0,5:0,5, ხურცილავა-კემულარია — 0,5:0,5.

3 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ერთპიროვნულად ლიდერობს მარინე ლებანიძე. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან სოფიკო ნიკოლაძე და ინგა ხურცილავა.

ჭაბუკები: პოპოვი-კეკელიძე — 1:0, უთმელიძე-ყაშაშვილი — 1:0, ტიკურიშვილი-ხაბურზანია — 1:0, დგებუაძე-ჯვარაცხელია — 1:0, მასხარაშვილი-გოგოლაძე — 0,5:0,5. გადაიდო იაშვილისა და ჯანგობეგოვის პარტია.

3 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: იანის პოპოვი, დათო ტიკურიშვილი — 3-3, კახა ხაბურზანია, გია გოგოლაძე — 2-2.

უფროსთა ბრძოლა მიმდინარეობს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურ პირველობაზე. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად მიმდინარეობს, 60-მდე მოჭადრაკე მონაწილეობს. 11 საათსა და 33 წუთს გაგრძელდა ოსტატობის კანდიდატების სოსო თოფურიასა და სერგო კარტაშიანის I ტურის პარტია, რომელიც ორჯერ გადაიდო და მასში 149 სვლა გაკეთდა. იგი საბოლოოდ თოფურიას გამარჯვებით დამთავრდა. ასეთი მრავალსვლიანი პარტიები არც ისე ხშირად თამაშდება.

შეჯიბრებაში 3 ტურის შემდეგ 3-3 ქულით დაწინაურდნენ ნიკოლოზ ლობჟანიძე, ალექსანდრე მარტიროსოვი, მუშეღ მოვსესიანი და ლეონიდ სპექტორი.

ვასილ ვაშალომიძე.

ინფორმაცია

გუდაპეშტი. ოთხი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ვლადიმირ არტემიევი სათავეში ჩაუდგა წლის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა სიას, რომელიც გამოაქვეყნა უნგრულმა ჟურნალმა „უორლდ ჟიმნასტიკმა“. მომდევნო ადგილებზეც საბჭოთა სპორტსმენები — ოლიმპიური ჩემპიონი დიმიტრი ბელოზერჩევი და ვალერი ლიუკინი არიან. ქალებში საუკეთესო ტანმოვარჯიშედ დასახელებულია რუმინელი ოლიმპიური ჩემპიონი დანიელა სილივაში.

გამარჯვებული ტელეკოპანია

ნიუ-იორკში გამართულ პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, ბარსელონის მომავალი ოლიმპიური თამაშებისა და ენ-ბი-სის ტელეკომპანიის წარმომადგენლები. გამოცხადდა, რომ 1992 წლის ოლიმპიადის ტელერეპორტაჟების უფლება შეესყიდა ენ-ბი-სიმ, რაც 401 მილიონი დოლარი დაუჯდა.

მისმა კონკურენტებმა სი-ბი-ესმა (იგი ზამთრის მომავალ ოლიმპიადას მოემსახურება) და ეი-ბი-სიმ (რეპორტაჟებს გადმოსცემდა კალგარიდან) ფინანსური ბრძოლა პირველსავე ეტაპზე შეწყვიტეს და ფაქტიურად გზა დაუთმეს ენ-ბი-სის. არადა ეი-ბი-სის ეკუთვნის „ძველი ოლიმპიური რეკორდი“ — კალგარის თამაშების მომსახურების უფლებისთვის 309 მილიონი დოლარი გადაიხადა. ახლა ეს „შედეგი გაუმჯობესდა“.

მათ იხილავენ ინგლისსა და ესპანეთში

მერმისს მარტსა და აპრილში ინგლისსა და ესპანეთში გაიმართება ევროპის პირველობა 18 და 16 წლამდე ასაკის ბადმინტონისტთა შორის. ამ შეჯიბრებისთვის კანდიდატების შერჩევას ითვალისწინებდა მოგილიოვსა და დნეპროპეტროვსკში გამართული ტურნირები, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ინგა ბერიძე დღეს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში ერთ-ერთ უძლიერეს ბადმინტონისტად ითვლება, შარშან ევროპის გუნდურ პირველობაზე ახალგაზრდებს შორის მან ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამას გარდა, ინგა საბჭოთა კავშირის პირველობის (16 წლამდე) ორგზის გამარჯვებულია.

ევროპის პირველობის საგზურს მხოლოდ ძველი დამსახურებისთვის არ იძლევიან და მოგილიოვში გამართულ საკავშირო შესარჩევ ტურნირში ინგა ისე ჩაება, როგორც ამ საგზურის რიგითი მაძიებელი.

პირადი პირველობის ფინალურ ასპარეზობაში ინგა უკრაინელ ოლგა შვაჩკოს შეხვდა. მანამდე ქართველ გოგონას მასთან ყველა შეხვედრა მოგებული ჰქონდა, რამაც როგორც ჩანს, მოადუნა მისი საბრძოლო განწყობილება — შეხვედრა წააგო და მეორე ადგილზე გავიდა. სამაგიეროდ, ინგამ რევანში ნაწილობრივ აიღო წყვილთა შორის. მან პერმელ ტატიანა სენინასთან ერთად პირველი ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხა ოლგა შვაჩკო-აუშრა გაბრინატეს (საუნასი) წყვილი.

ეს შეხვედრა უაღრესად დრამატულად წარიმართა, გამარჯვებულებმა პირველი პარტია ანგარიშით 12:15 წააგეს. მეორე პარტიასაც უიმედოდ — 3:13 აგებდნენ, მაგრამ მოხდა სასწაული, მათ თავიანთ სასარგებლოდ არა მარტო ამ პარტიის ბედი შემოატრიალეს, არამედ, საერთოდ შეხვედრაც მოიგეს და უძლიერესის სახელი მოიპოვეს.

— მანჩესტერში გამგზავრებამდე, — გვითხრა მწვრთნელმა იური ბარხუდაროვმა, — იანვარში ინგა მონაწილეობას მიიღებს პოლონეთში და გფრ-ში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში.

• • •

დნეპროპეტროვსკის საკავშირო ტურნირში, როგორც აღვნიშნეთ, ესპანეთის ევროპის ჩემპიონატისთვის (16 წლამდე) კანდიდატები უნდა შერჩეულიყო. ასპარეზობაში ამ ასაკის ყველა უძლიერესმა ბადმინტონისტმა მოიყარა თავი. როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა შორის, (ყაზახეთის წარმომადგენელ კუსტაკლეტოვასთან ერთად) **თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ტატიანა მობილევამ** (მწვრთნელი იური კიტაევიჩი) მეორე ადგილი დიკავა და ესპანეთში გამგზავრების უფლება მოიპოვა.

ქამი ფიქრისა,
ქამი განსჯისა

„უნივერსიადა—88“

ნათელი და ჩრდილი

უკანასკნელ წლებში საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ეს ათლად ჩანს როგორც ცალკეულ ოლეტთა მიღწევებში, ისე კომპლექსურ შეჯიბრებებში, მაგალითად, სხვადასხვა საკავშირო სპარტაკიადაზე თუ ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც აშკარად დავწინაუდით.

წლევანდელი სპორტული სეზონის ერთ-ერთი საინტერესო კომპლექსური ასპარეზობა გახლდათ ტუდენტთა საკავშირო თამაშები უნივერსიადა-88“.

ამ კომპლექსური ასპარეზობის ესახებ „ლელო“ პერიოდულად უწყებოდა, მაგრამ „უნივერსიადა-88“-ის საბოლოო შედეგებზე, ამწუხაროდ, აქამდე არ გვისაუბია. ჩვენთვის ცნობილი იყო საართველოს წარმომადგენელთა შეეგები, მაგრამ მათი გამოსვლის შეაფასებლად, რა თქმა უნდა, ეს აკმარისი არ იყო. საჭირო იყო ხვა რესპუბლიკების მიღწევათა ათვალისწინება და კომპლექსური შეჯამება, ეს კი აქამდე არ მოერხდა, რადგან პროფკავშირეთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოდან ცნობებმა დაიგვიანა.

ახლა ცნობილა, რომ მოპოვებული მედლების რაოდენობის მიხედვით საქართველოს წარმომადგენლებმა საერთო გუნდური VIII ადგილი დაიკავეს.

⊙ კარგია ეს თუ ცუდი? — საკითხებით პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავჯდომარის მოადგილეს ლირან აბესაძეს.

— ჩვენი სპორტსმენები საერთო გუნდურ პირველობაში (მედლების რაოდენობის მიხედვით), ანა უნივერსიადასთან (1984 წ.) ედარებით ერთი ადგილით დანაურდნენ. მათ მოიპოვეს 28 ედალი, რაც 4-ით აღემატება წინა უნივერსიადის მონაპოვარს. საპატერვოა, რომ ოქროს მედლების რაოდენობამ ორით მოიმატა. , რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ჩვენ შორსა ართ კმაყოფილებისაგან, რადგან აგვაჩნია, რომ არსებული შესაძლებლობების ფონზე მოპოვებული ედალები საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება. საქართველოს ტუდენტ სპორტსმენებს გაცილით მეტის გაკეთება შეუძლიათ.

⊙ ეს მონაგარი რომელი უმაღლესი სასწავლებლების ანგარიშზე მოდის? ყველაზე მეტად ვინ ამოიჩინა თავი?

— სანამ ამ კითხვაზე გაგცემთ პასუხს, ალბათ, საჭიროა აღინიშნოს, რომ წლევანდელი სპორული ზაფხული მეტად დაძაბული ა საინტერესო იყო: გაიმართა ლიმპიური თამაშები, ჭაბუკთა II კავშირო თამაშები, რომლებიც ქართველოს სტუდენტობისთვიც უხვმოსავლიანი იყო. საკავშირო უნივერსიადას წინ უძღოდა რესპუბლიკური სტუდენტური ამაშები, რომელშიც 49 ათასზე ეტი სტუდენტი სპორტსმენი მონაწილეობდა. აქ ოთხმა სპორტის სტატის ნორმატივი შეასრულა, ორტის ოსტატობის კანდიდატი — ორმოცდაერთმა, პირველი ანრიგისა — ორმოცდაათმა.

რესპუბლიკის ფინალური შეჯიბრებები კარგად იყო ორგანიზებული, რაც მნიშვნელოვანწილად ნაპირობა საქართველოს სახალ- განათლების სამინისტროს მი- გაწეულმა გეგმაზომიერმა მუობამ, იმ საქმიანობამ, რომელიც ნივერსიადის საორგანიზაციო კომეტემ მინისტრის მოადგილის ენადი მაქაცარიას ხელმძღვანეობით გასწია.

საკავშირო ფინალურ შეჯიბრებებს წინ უძღოდა რესპუბლიკაში ორველად ორგანიზებული „გიგანური სტუდენტური თამაშები“, რომელიც ფართო საზოგადოებრიების დიდი ინტერესი გამოიწვია. ერთი თვის განმავლობაში, ყოველ კვირას, ერთმანეთს ეჯიბრებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, ფეხბურთელთა 100-100 გუნდი და 300-300 მოცურავე. თამაშებში 7 ათასზე მეტი სტუდენტი, ასპირანტი და პროფესორ-მასწავლებელი მონაწილეობდა.

ვფიქრობთ, რომ ეს სიახლე დაიხვეწება, სტუდენტურ სპორტულ ცხოვრებაში ფართოდ მოიკიდებს ფეხს, მისი მასშტაბები გაფართოვდება.

ახლა საკავშირო უნივერსიადის შესახებ. ფინალურ შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის 15 უმაღლესი სასწავლებლის 530 სპორტსმენი მონაწილეობდა. ისინი სპორტის 28 სახეობაში გამოდიოდნენ. მათგან საუკეთესო შედეგს მიაღწიეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა, რომლებმაც ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და თორმეტი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საერთო ჯამში მათ წინა უნივერსიადასთან შედარებით ხუთით მეტი მედალი მოიპოვეს.

პირად პირველობაში თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა მაია აზარაშვილმა, რომელმაც ორი ოქროს (100 და 200 მეტრზე რბენაში) მედალი დაიმსახურა.

ცალკეული სახეობების მიხედვით დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს სტუდენტთა ნაკრებმა ხმლით ფარიკაობაში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა. ვაჟმა ძიუდოისტებმა მეორე ადგილი მოიპოვეს (მათ ორ-ორი ოქროს, ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს). ასევე მეორე იყო ფეხბურთელთა ნაკრები, რომელიც საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული.

აღსანიშნავია, რომ წინა უნივერსიადაზე ჩვენმა ფეხბურთელებმა მხოლოდ VII-IX ადგილები გაიყვეს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ წინა უნივერსიადასთან შედარებით სპორტის 9 სახეობაში გაცილებით უკეთესი შედეგები მოვიპოვეთ. ამ მხრივ თავი ყველაზე მეტად გამოიჩინეს სამბისტებმა, რომლებმაც შეათედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლეს, პირად პირველობაში კი სამი მესამე ადგილის ნაცვლად თითო ოქროსა და ვერცხლის, სამიც ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. შედეგები გაუმჯობესეს აგრეთვე მოკრივეებმა, წყალში მხტომელებმა, ძალოსნებმა, მოჭადრაკეებმა, მშვილდოსნებმა, მძლეოსნებმა, მოცურავეებმა.

სპორტკლუბებიდან საუკეთესო შედეგს მიაღწია გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ძიუდოისტთა ნაკრებმა, რომელმაც გუნდურ პირველობაში სპორტკლუბებს შორის ყველას აჯობა.

⊙ ჩამორჩენილთა შორის ვის დასახელებდით?

— წინა უნივერსიადასთან შედარებით 5 სახეობაში იგივე ადგილზე დავრჩით, შვიდ სახეობაში კი მაჩვენებლები გაუარესდა.

საკავშირო უნივერსიადაზე არცერთი წარმომადგენელი არ ჰყავდა აფხაზეთის უნივერსიტეტს, თბილისის კონსერვატორიას, სამხატვრო აკადემიასა და თეატრალურ ინსტიტუტს. არადამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. წინა უნივერსიადასთან შედარებით დამძეს პოზიციები პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა სპორტსმენებმაც.

განსაკუთრებულ კრიტიკას იმსახურებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტკლუბი, რომელმაც „უნივერსიადა-84“-თან შედარებით ათი მედლით ნაკლები დაიმსახურა.. წყალბურთელთა გუნდმა, რომელიც ძირითადად ამ უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული, დიდი ანგარიშით წააგო შეხვედრები და უკანასკნელი X ადგილი დაიკავა.

თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად იასპარეზეს ამ ინსტიტუტის კალათბურთელებმა (ვაჟები, ქალები). მათ VII-IX ადგილები გაინაწილეს. ცუდად გამოვიდნენ ცალკეული სპორტსმენებიც.

ყოველივე ეს მნიშვნელოვნად განაპირობა სპორტკლუბის ხელმძღვანელთა, უწინარეს ყოვლისა კი მისი თავჯდომარის მ. სანიკიძის საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ. მან ნაცვლად იმისა, რომ გუნდების დაკომპლექტებით დაინტერესებულიყო, შეჯიბრებებზე გაეგზავნებინა ისინი და სხვა ორგანიზაციულ საქმიანობაში მიეღო მონაწილეობა, ყოველივე ამას განზე განუდგა. იგი ლესელიძეში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში გაემგზავრა, ხოლო თავისი მოადგილე შვებულებაში გაუშვა. მ. სანიკიძე არც შემდგომში დაინტერესებულა უნივერსიადაზე ინსტიტუტის სპორტსმენების გამოსვლითა და შედეგებით.

რესპუბლიკური საბჭოს ბიუროს სპეციალურ სხდომაზე მწვავე, პრინციპული შეფასება მიეცა ამ ფაქტს. კატეგორიულად დაისვა საკითხი სანიკიძის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და კლუბის საქმიანობის რადიკალურად გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ სხდომამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სანიკიძე 30 წლის მანძილზე სათავეში უდგას ინსტიტუტის სპორტკლუბს და ამ ხნის მანძილზე პოლიტექნიკოსებს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში არა ერთი წარმატება მოუპოვებიათ, ამიტომაც სანიკიძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს და თანამდებობაზე პირობით დატოვეს.

საქართველოს წარმომადგენლები წინა უნივერსიადასთან შედარებით ცუდად გამოვიდნენ თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც გუნდურ პირველობაში ოთხი ადგილით ჩამოქვეითდნენ. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჩოგბურთელები; ტრეკზე ველოსიპედისტებმა მეშვიდედან მეთერთმეტე ადგილზე გადაინაცვლეს; მერვედან ასევე მეთერთმეტეზე ჩამოქვეითდნენ აკადემიური ნიჩბოსნებიც.

⊙ რამ განაპირობა მათი წარუმატებლობა?

— უპირველეს ყოვლისა ეს განპირობებული იყო მწვრთნელთა და გუნდების ხელმძღვანელთა დაბალი პროფესიული მომზადებით, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის დაგეგმვაში დაშვებული შეცდომებით, რის შედეგადაც ბევრი სპორტსმენი ამ საპასუხისმგებლო სტარტებისათვის სათანადოდ მომზადებული არ აღმოჩნდა.

სპორტკლუბების მუშაობის სისტემის დახვეწის მხრივაც მრავალი პრობლემაა გადასაწყვეტი. ამჟამად მუშავდება სპეციალური წინადადებები მათთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების შესახებ, რაც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს კლუბებისათვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭებას, სახელმწიფო ბანკში სპეციალური ანგარიშების გახსნასა და სხვა.

სტუდენტებთან ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით იყო ნაკარნახევი ის გადაწყვეტილებაც, რომ რესპუბლიკური საბჭოს აპარატის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანისას ჩვენ ცალკე რგოლად გამოვყავით რესპუბლიკური სპორტული კლუბი „ბურევესტნიკი“, რომლის ხელმძღვანელობა მე მაქვს დავალებული.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — როგორც ცნობილია, სტუდენტთა საკავშირო სპორტული თამაშების დებულებით იმ ათლეტებს, რომლებიც არ არიან უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების წევრები, არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ უნივერსიადაში. ჩვენი საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით კი ისინი რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე დავუშვით. ამიტომ მივედით ისეთ კურიოზებამდეც, როცა ზოგიერთ სახეობაში, რომლებშიაც ცალკეულმა სპორტსმენებმა რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე საკმაოდ მაღალი შედეგები მოიპოვეს, საკავშირო თამაშებზე ნაკრები გუნდებიც კი ვერ დავაკომპლექტეთ. ამ საკითხს მომავალში ღრმად გაანალიზება და მოფიქრებული გადაწყვეტა სჭირდება.

ერთი სიტყვით, „უნივერსიადა-88“-მ მრავლად წარმოაჩინა და თვალნათლივ დაგვანახა ჩვენი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ის რეზერვები, რომელთა ამოქმედებამაც სტუდენტურ სპორტში ჩვენი რესპუბლიკა შესაფერის ადგილზე უნდა გაიყვანოს.

საუბარი ჩაიწერა
ავთანდილ ჟვანიშელმა.

№№ ნაკრები გუნდების დასახელება — მედლების რაოდენობა

	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ	ქულა
1. რსფსრ	55	44	45	144	785
2. უკრაინა	43	51	49	143	752
3. ბელორუსია	28	20	30	78	416
4. ლენინგრადი	20	20	21	61	324
5. მოსკოვი	15	15	19	49	256
6. უზბეკეთი	9	8	12	29	151
7. ყაზახეთი	6	7	17	30	145
8. საქართველო	9	5	14	28	144
9. სომხეთი	4	5	5	14	73
10. ლიტვა	2	6	6	14	68
11. მოლდავეთი	1	4	8	13	59
12. ლატვია	5	1	1	7	44
13. ესტონეთი	2	4	2	8	42
14. ყირგიზეთი	2	3	3	8	41
15. აზერბაიჯანი	—	1	2	3	13
16. ტაჯიკეთი	—	1	1	2	9
17. თურქმენეთი	—	—	1	1	4

„ცისფერი ერთვალა ბინა-ოთხია ქუთაისში, ანუ დაუჯერებელი ამბავი“

არ იფიქროთ, რომ საქმე ეხება ამ სათაურით ცნობილ ქართულ მხატვრულ ფილმს. არა, რა თქმა უნდა! საუბარი გვექნება ბათუმთან ახლომდებარე ცადაზიდულ მთებზე, ზაფხულობით მართლაც ცისფრად რომ ელვარებენ. უფრო სწორად, ერთ მათგანზე — „მტირალაზე“ — ვისაუბრებთ.

იგი ბათუმიდან სულ რაღაც ოციოდე კილომეტრითაა დაშორებული და ზღვის დონიდან 2000 მეტრზეა აღმართული. ნოემბრის დასაწყისში რომ დაითოვლება, მაისის შუა რიცხვებამდე თეთრ საბურველშია გახვეული არემარე. ზამთრის სპორტის სახეობების მოყვარულნი სწორედ ამ მთაზე მართავენ სხვადასხვა ასპარეზობას. მოკლედ, აქ ყველა ბუნებრივი პირობაა როგორც სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის, ისე მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გასაშლელად, მაგრამ...

— ჩვენი კლუბის დახმარებით ბევრი შრომითი კოლექტივი დასვენების დღეებს „მტირალაზე“ ატარებს, — ამბობს ბათუმის ტურისტული კლუბის „ოქროს საწმისის“ დირექტორი გ. ზამბახიძე. შესანიშნავი ადგილია. სათანადო ინვენტარიც გვაქვს. ოღონდ ეგაა, ზამთარში, როცა „მტირალას“ ფერდობებზე 3-5 მეტრი სისქის თოვლია, ტურისტებს, განსაკუთრებით ასაკოვნებს, ფეხით მთაზე ასვლა ძალზე უჭირთ. 18 კილომეტრის გავლა ხუმრობა ხომ არ არის, დიდი დრო ჭირდება. შესაბამისად მკვეთრად მცირდება დროის ის მონაკვეთი, მთაზე გასატარებლად რომაა გათვალისწინებული.

როცა ამ წერილს ვამზადებდით, გვაინტერესებდა ფიზკულტურული კოლექტივების მეთოდისტთა აზრიც. ყველამ ერთხმად აღნიშნა მშრომელთა დიდი დაინტერესება აქტიური დასვენებისადმი, მაგრამ ითქვა იმ სირთულეებზეც, რასაც ამ საქმეში აწყდებიან აქტივისტები.

შეიძლება თუ არა „მტირალაზე“ სამთო-სათხილამურო ბაზის მოწყობა?

— რა თქმა უნდა, შეიძლება და ეს დდებული საქმეც იქნებოდა,— აღნიშნავს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს თავჯდომარე ა. მეგრელიძე, — მაგრამ იდეა ოდესმე ხომ უნდა განხორციელდეს?

ჯერ კიდევ 60-იან წლებში ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანიზაციებში ხმა დაირხა, თითქოს „მტირალაზე“ საბაგირო გზის დამონტაჟებას აპირებენო. შემდეგ ისიც თქვეს, ძალზე ძვირი დაგვიჯდებაო და... იდეა განუხორციელებელი დარჩა.

სამაგიეროდ...

— უფრო ინიციატივიანი და საქმიანი აღმოჩნდნენ ახლომდებარე სოფლების მცხოვრებნი, — ამბობს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის დირექტორი ი. დიასამიძე. — მათ საოცრად უმოკლეს დროში ყველაზე მოსახერხებელ ტერიტორიაზე საგარაჟო სახლები ჩადგეს, საქონელიც. მრავლად აიყვანეს მთაში, ეს კი ყოვლად დაუშვებელია, რადგან თვით მთა „მტირალა“ და მისი ახლო შემოგარენი სანიტარულ ზონადაა გამოცხადებული, ქალაქიც სასმელ წყალს სწორედ ამ ზონიდან იღებს. ასე რომ, მთაზე ინდივიდუალური მშენებლები ვერ უზრუნველყოფენ სანიტარული წესების დაცვას.

ვინმემ იქნებ ახლა მაინც მიაქციოს ბუნების ამ სასწაულს ყურადღება და მთა „მტირალაზე“, მშრომელთა დასვენების, ჯანმრთელობის გაკაჟებისა და ჩვენი მომავალი თაობის სპორტში დაოსტატებისათვის აუცილებელი პირობები შექმნას.

მართლაც დაუჯერებელი ამბავია, რომ დღემდე ეს საკითხი გადაუჭრელი რჩება.

ლევან ქავთარაძე,
„ლელოს“ სპ. კორ.

ბათუმი.

ვისთვის მოიგონეს კიმონო?

(ასასრული)

ისი); 3. თამარ ჩანტლაძე (ბაეკმი) და მარიკა თავბერიძე (ახეტა).

56 კგ. 1. მანანა ჭოღლაძე (გო); 2. ნანა თედეევა (ცხინვალი); ია ქარსანიძე (თბილისი) და თა- მელაძე (ვანი).

61 კგ. 1. ტატიანა სუბაჩევა; 2. ლიუდმილა მხითაროვა (ორივე — თბილისი); 3. რუსუდან მეღვინეთუხუცესი (საგარეჯო) და თამარ მიქელაძე (ახმეტა).

66 კგ. 1. ნინო ხებრელაშვილი (საგარეჯო); 2. ეკატერინე ბაკურაძე (ცხინვალი); 3. თამარ ეჯიბაძე (თბილისი-2) და მარიამ ქადაგიშვილი (ახმეტა).

71 კგ. 1. ელზა გაბრიელიანი (თბილისი); 2. ლია იაშვილი (დუშეთი); 3. ბელა ცხოვრებოვა (ცხინვალი) და მზია ვოკკი (ახმეტა).

მძიმე წონა. 1. ნინო ჩუმაშვილი (თბილისი); 2. ნატალია სინოვა (დუშეთი); 3. ლალი ცნობილაძე (ქუთაისი) და ნანი ტოგონიძე (ბათუმი).

აბსოლუტური წონა. 1. ლია დარსაძე (ქუთაისი); 2. ანგელინა გაბიადულინა (დუშეთი); 3. ნანა სანოძე (ქუთაისი) და ნანა ჩარექოვა (გორი).

გუნდური: 1. თბილისი-I — 226,5 ქულა; 2. სამხრეთ ოსეთი— 144,5; 3. ახმეტა — 143; 4. ქუთაისი — 133,5; 5. გორი — 129,5; 6. ბათუმი — 110; 7. დუშეთი — 100,5; 8. საგარეჯო — 85, 9. ვანი — 77,5; 10. სოხუმი — 49,5.

განიხილავენ საფეხბურთო კავშირის წესდების პროექტს

აბრის გამოცვლა უნდათ?

ამ ბოლო ხანებში სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციისა და მისი ქვედანაყოფების საქმიანობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. საფეხბურთო ხელმძღვანელობის საქმე ჩვენს ქვეყანაში არსებითად მთლიანად ფეხბურთის სამმართველოს (მეამად — ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველო) ხელთ გადავიდა, მან მრავალი საორგანიზაციო ხასიათის შეცდომა დაუშვა როგორც სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების, აგრეთვე, სსრ კავშირის ნაკრები გუნდებისა და ჩვენი კლუბების საერთაშორისო შეჯიბრებათა ჩატარებაში.

ჯერ კიდევ ამ ზაფხულს გამოქვეყნდა მოსაზრება ჩვენში ერთიანი საფეხბურთო კავშირის შექმნის თაობაზე, შემდეგ ეს ლაპარაკი მინელდა და, უცებ, მოულოდნელად, 26 ნოემბერს „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა საფეხბურთო კავშირის წესდების პროექტი. მალე (13-14 დეკემბერს) უნდა მოეწყოს საორგანიზაციო კონფერენცია, ახლა კი სასწრაფოდ მოითხოვენ წინადადებებს, რომლებიც იწონებენ ამ წესდების პროექტს. მაგრამ, როგორც იტყვიან, მოჩქარეს მოუგვიანდესო, წესდების ახლანდელი პროექტი დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

№1 პუნქტში ნათქვამია, რომ საფეხბურთო კავშირი ყალიბდება შემდეგი მიზნით: „ფეხბურთის ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას საფეხბურთო კავშირი ახორციელებს სსრ კავშირის სპორტსახკომთან მჭიდრო კავშირში“, №3 პუნქტში კი განსაზღვრულია საფეხბურთო კავშირის ამოცანები: „...საკავშირო ჩემპიონატებისა და პირველობების ორგანიზაციაში მონაწილეობა,... კლუბებისა და ნაკრები გუნდების შექმნაში მონაწილეობა“. მიაქციეთ ყურადღება სიტყვას „მონაწილეობა“. გამოდის, რომ სხვა ყველაფერი საფეხბურთო კავშირის მიღმა მოხდება და ეს სიტყვა ბევრ სხვა პუნქტშიც არის აღნიშნული. მაგალითად: „...მონაწილეობს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებათა დაგეგმვასა და ჩატარებაში, მონაწილეობს მწვრთნელთა კადრების შერჩევასა და განაწილებაში, ოსტატთა საკლუბო გუნდებისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრებებში გამოსვლასა და მომზადებაში“. ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია წესდების პროექტის № 12 და № 13 პუნქტებში, სადაც წერია: „სსრკ საფეხბურთო კავშირის საშტატო რაოდენობას განსაზღვრავს სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი. სსრკ საფეხბურთო კავშირის შტატის მუშაკთა შენახვისა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებულია სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს გასავლისა და შემოსავლის ხარჯთაღრიცხვაში“ (?!). ერთი სიტყვით, წმინდა წყლის ფიქციაა.

მე კი ვფიქრობ, და ბევრი სხვა სპეციალისტიც იმ აზრისაა, რომ საფეხბურთო კავშირი სპორტულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელმაც უნდა გაერთიანოს ფეხბურთელები, მწვრთნელები, ფეხბურთის მუშაკები და მოყვარულები. საფეხბურთო კავშირი თავის მოღვაწეობას ახორციელებს სსრ კავშირის კანონმდებლობისა და სპორტსახკომის [illegible] ინსტრუქციებისა — შესაბამისად, სოციალური თვითმმართველობა [illegible] ნეო ანგარიშისა და [illegible] ერების საფეხბურთოზე.

მოკლედ რომ ვთქვათ, საფეხბურთო კავშირის ახლანდელი წესდების პროექტი სერიოზულ გადამუშავებას საჭიროებს კვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით. მისი განხილვა და დამტკიცება საჭიროა აუჩქარებლად, მთელი ჩვენი სამამულო ფეხბურთის ინტერესების გათვალისწინებით.

ნ. ბლეგოვი,
რსფსრ-ის დამსახურებული მწვრთნელი.

„იზვესტია“, 6 დეკემბერი, 1988 წ.

პროექტს აშკარა ხარვეზები აქვს

ა. წ. 24 ოქტომბერს გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ გამოქვეყნდა სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის წესდების პროექტი. გავეცანი მას და მინდა ჩემი შეხედულებანი გამოვთქვა „ლელოში“.

ჯერ ერთი, პროექტის საჯარო გამოქვეყნებიდან დამფუძნებელ კონფერენციამდე საჯაროდ განსახილველი დრო ძალზე მცირეა. განა ეს უბრალო საკითხია, რომელიც შეიძლება ასე ნაჩქარევად განიხილონ? საჭირო იყო მეტი დრო, რათა პროექტზე გვემსჯელა კოლექტიური წესით, დინტერესებულ ადამიანებს, მსურველებს საკმარისი დრო უნდა ჰქონოდათ თავიანთ მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოსაფიქრებლად.

ჩვენი აზრით, პროექტი შემუშავებულია არაკომპეტენტური პირების მიერ, ცალკეული დებულებები თუ განსაზღვრები ჩამოყალიბებულია ხარვეზიანად, იგრძნობა ნაჩქარეობა, ბევრი პუნქტი არაფრისმთქმელია. პროექტიდან არ ჩანს, რომ საფეხბურთო კავშირს თავისი გარკვეული პრინციპები და მტკიცე პოზიცია აქვს.

პროექტში აღნიშნულია, რომ „საბჭოთა კავშირის საფეხბურთო კავშირი არის საზოგადოებრივ-პროფესიული სპორტულ ორგანიზაცია“. შუხლის ასეთი ფორმირებიდან აშკარად ჩანს ის, რომ საფეხბურთო კავშირი არ იქნება დამოუკიდებელი, თვითმმართველობაზე დაფუძნებული იურიდიული ერთეული. მას არა აქვს იურიდიული სტატუსი, პრობლემატურია მისი ფინანსური საარსებო წყარო, ამიტომაც იგი სხვებზეა დამოკიდებული.

II თავის მე-5 შუხლში წერია, რომ საფეხბურთო კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საკავშირო კონფერენცია, რომელსაც 4 წელიწადში ერთხელ მოიწვევს საფეხბურთო კავშირის საკავშირო საბჭო. ჩვენი აზრით, 4-წლიანი ინტერვალი ძალზე დიდი დროა, მოსაგვარებელი და გადასაწყვეტი საქმე კი ბევრი იქნება. ამიტომაც კონფერენციების მოწვევის ვადა უნდა შემცირდეს. ამავე თავის მე-9 შუხლის მე-6 აბზაცი მწვრთნელთა კადრების მომზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, მათს შერჩევასა და განაწილებას შეეხება, მაგრამ კონკრეტულად აღნიშნული არაა თუ ვის ეხება ეს მეტად მნიშვნელოვანი, მარად საპრობლემო საქმე.

პროექტში აღნიშნულია, რომ საფეხბურთო კავშირი ხელს კლუბებთან და საკავშირო სპორტსახკომთან ერთად უცხოეთის კლუბებში სათამაშოდ გასაგზავნი ფეხბურთელების საქმეებსაც წყვეტს, მაგრამ არც ეს დებულებაა სრულად, გამართულად ჩამოყალიბებული, საფეხბურთო კავშირის პოზიცია აქაც ორეროვანია, იგი უფრო რაღაც შეამავლად გვევლინება საკავშირო სპორტსახკომსა და საფეხბურთო კლუბებს შორის.

საფეხბურთო კავშირი დამოუკიდებელი, ავტორიტეტული და უფლებამოსილი ორგანო უნდა იყოს, რომელიც დიდმნიშვნელოვან, კარდინალურ საკითხებს გადაწყვეტს. ამიტომაც მისი ფუნქციამოვალეობანი წესდებაში კონკრეტულად, კვალიფიციურად და ფერდიულად არგუმენტირებული უნდა იყოს.

რობერტ კოვზირიძე.

საფეხბურთო კოდექსის სადარაჯოზე

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში არსებობს წესების საერთაშორისო საბჭო და ეს ერთადერთი ორგანოა, რომელსაც უფლება აქვს რაიმე შესწორება ან დამატება შეიტანოს ფეხბურთის თამაშის წესებში. წესების საერთაშორისო საბჭო წელიწადში ერთხელ მართავს სხდომას, აქ წყდება ყველა საკითხი, რომელიც კი საფეხბურთო კოდექსის პუნქტებს ეხება. საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში წესების საბჭო კონსერვატული ორგანოს რეპუტაციით სარგებლობს, არ არსებობს, რომ საბჭომ თამაშის კოდექსის რომელიმე რამდენადმე მაინც მნიშვნელოვან პუნქტზე ნაჩქარევად იმსჯელოს. ყოველ ახალ წინადადებას, ახალი ცვლილების პროექტს წინ უძღვის ხანგრძლივი დეტალები, საფუძვლიანი ექსპერიმენტები, გამოცდილი ექსპერტების დასკვნები, სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციათა პრაქტიკული საცდელი საქმიანობა.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ორგანო „ფიფა ნიუსი“ იუწყება, რომ წესების საერთაშორისო საბჭოს ბოლო სხდომაზე კვლავ ლაპარაკი იყო კოდექსში ცვლილებათა შეტანაზე, მაგრამ საბჭომ ისევ შეინარჩუნა თავისი კონსერვატული პოზიციები და ცხადყო წესების უცვლელად დატოვების პოლიტიკა.

საბჭოს სხდომაზე დააკონკრეტეს თამაშის წესების № 1 პუნქტი, სადაც ამიერიდან ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საფეხბურთო კარის ძელები აუცილებლად თეთრი ფერისა უნდა იყოს (წესების ძველ რედაქციაში ძელის ფერზე არაფერი იყო მითითებული). საბჭოს სხდომაზე წინადადება შეტანეს, რომ ნება დაერთოთ ძელები სხვა ფერითაც შეეღებათ, მაგალითად, ყვითლად, მაგრამ წესების საბჭომ დისკუსია ამ საკითხზე შეწყვიტა და დატოვა მხოლოდ ერთი ფერი — თეთრი. გარდა ამისა, წესების საერთაშორისო საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, თავისი გადაწყვეტილება: სათამაშო მინდორი და კარები ფეხბურთის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია, ამიტომაც ერთიცა და მეორეც აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი რეკლამისგან.

ზოგიერთმა ევროპულმა ფედერაციამ სხდომაზე მოსაზრება გამოთქვა, რომ ოფიციალურ საფეხბურთო მატჩებში დაწესდეს არა ორი, არამედ სამი ფეხბურთელის შეცვლა, ოღონდ იმ კონკრეტული მინიშნებით, რომ ამ სამი ფეხბურთელიდან ერთი აუცილებლად მეკარე უნდა იყოს. წესების საბჭომ კატეგორიული უარი განაცხადა ამ წინადადებაზე და ძალში კვლავ ორი ფეხბურთელის შეცვლა დატოვა.

კვლავ იმსჯელეს „თამაშგარე მდგომარეობის“ პუნქტში ცვლილების მოხდენის თაობაზე, კერძოდ, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საჯარიმო და თავისუფალი დარტყმების დროს არ მოხდეს „თამაშგარე მდგომარეობის“ ფიქსირება (როგორც ეს ხდება კუთხური დარტყმისას და გვერდითი ხაზიდან ბურთის ხელით შემოგდებისას). ვარაუდობდნენ, რომ ამგვარი ცვლილება მნიშვნელოვნად აამაღლებდა თამაშის შედეგიანობას. წესების საბჭომ ეს საიაზე ექსპერიმენტის სახით სცადა ინგლისის საფეხბურთო ასოციაციაში, მაგრამ ხანგრძლივმა დაკვირვებებმა პოზიტიური შედეგი არ გამოიღო, შედეგიანობა ამით ოდნავადაც არ გაზრდილა. ამიტომაც ინგლისის ფედერაციამ ექსპერიმენტი შეწყვიტა, ხოლო წესების საბჭომ საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა.

წესების საბჭომ აღნიშნა, რომ ზოგიერთი საფეხბურთო ასოციაცია ასევე ექსპერიმენტის სახით მიმართავს მოთამაშეთა მინდვრიდან დროებითი გაძევების პრაქტიკას სხვადასხვა პერიოდით (10,15 და ა. შ. წუთით). ამგვარი დროებითი მინდვრიდან გაძევებანი თამაშის წესებში გათვალისწინებული არაა, ეს ექსპერიმენტებიც უარყოფითად დამთავრდა, ამიტომაც საბჭომ ამგვარი ცდების შემდგომი ჩატარება აკრძალა, თანაც გააფრთხილა ის ფედერაციები, რომლებსაც სურთ ეს მეთოდები პრაქტიკაში დანერგონ ექსპერიმენტის წესით, თავი შეიკავონ ამგვარი ნაბიჯებისგან. მოთამაშის პერიოდული გაძევება მინდვრიდან გარკვეული დროით ფეხბურთის თამაშის არსს ვერ ეგუება, ექსპერიმენტებმაც ნათელყო ამგვარ დროებით გაძევებათა უსაფუძვლობა.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესების საბჭოს შემდგომი სხდომა ჰოლანდიაში გაიმართება მომავალი წლის ივნისში.

დედაქალაქის თასი—„იმედს“

საინტერესოდ ჩატარდა 1988 წლის თბილისის თასის გათამაშება ფეხბურთში, ასპარეზობაში მონაწილეობდა დედაქალაქის 24 გუნდი. პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზოოტექნიკურ-საველეერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტისა და „ფოსტამტის“ გუნდები, თამაში სტუდენტთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. საინტერესოდ წარიმართა მეორე ნახევარფინალური მატჩიც, სადაც „იმედი“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები იბრძოდნენ. თამაშის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ — 0:0 დამთავრდა, 11-მეტრიანი დარტყმები უფრო ხუსტად „იმედის“ ფეხბურთელებმა შეასრულეს (4:2) და მეორე ფინალისტის ვინაობაც გაიარკვა.

დამბალად წარიმართა ფინალური მატჩიც, რომელმაც გულგრილი არ დატოვა შეხვედრაზე მოსული მაყურებელი. თბილისის „იმედი“ ხომ რესპუბლიკის ერთ-ერთ ტიტულოვან კოლექტივს, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდს ხვდებოდა. „იმედის“ მოთამაშეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ტოლი არ დაუდეს ქალაქის პირველობის ლიდერს და დაამარცხეს იგი — 2:1. გამარჯვებულთაგან ბურთები ჯ. კერესელიძემ და გ. გეგეშიძემ გაიტანეს, ხოლო სტუდენტთა მხრივ — ვ. ხურცილავამ.

ორიოდე სიტყვა თბილისის წლევანდელი თასის გამარჯვებულ თბილისის „იმედზე“. გუნდს წლების განმავლობაში წვრდნის რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ფ. ჭელიძე, მწვრთნელები — ა. ბანუკაშვილი, ჰ. ნიკურაძე, „იმედი“ საწვრთნელ ეარიშს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გადის, რომლის დირექცია შეძლების ფარგლებში ყველა პირობას უქმნის ფეხბურთელებს მეცადინეობასა და თამაშების ჩატარებაში.

აი, ის ფეხბურთელები, რომლებიც წლევანდელ სეზონში იცავდნენ „იმედის“ ლირსებას: მეცხვარიშვილი, მარგალიტაშვილი, ისაშვილი, კერესელიძე, ხუციშვილი, ქავთარაძე, კენჭიაშვილი, მ. შუბითიძე, კ. შუბითიძე, კალუჟა, გეგეშიძე, დეკანოზიშვილი, სულიაშვილი, ჩხეიძე, ჭონიაშვილი.

სურათზე: თბილისის 1988 წლის თასის მფლობელი „იმედი“.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

ნიჭიერებს მეტი მოეთხოვებათ

— ჩემი აზრით, ამ ასაკის ჭაბუკთა შორის თქვენი გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა მთელს ქვეყანაში. რამდენიმე მოთამაშეს, განსაკუთრებით კი მეშვიდე ნომერს და ნომერ მეჩვიდმეტეს, — ბოდიში, გვარები ზუსტად ვერ დავიმახსოვრე, — უთუოდ კარგი მომავალი აქვთ...

ცოტა საკვირველია, მაგრამ უკრაინელი მწვრთნელი ივან ბოგატიკო ამას ჩვენი ხელმძღვანელების მისამართით ამბობდა, რომელთა რეპუტაციამ ბოლო წლებში აშკარად დაიწია. სახელოვანი ქართველი ხელმძღვანელის ჯემალ ცერცვაძის სახელობის ტურნირი ჭაბუკთა შორის ახალი დამთავრებული იყო და ბოგატიკო ცოცხალ შთაბეჭდილებებს გვიზიარებდა მასპინძელთა გამოსვლაზე, რომელიც მათი გამარჯვებით დამთავრდა.

სტუმრის ობიექტურობაში ცოტა დაეჭვებულებმა ახლა ჯემალ ცერცვაძეს მივმართეთ იგივე კითხვით და პასუხიც იღენტური მივიღეთ.

— ამ გუნდის სამ მოთამაშეს მაინც შეუძლია შემდგომში თბილისის „ბურევესტნიკის“ რიგები შეავსოს, ან იქნებ მეტსაც, თუ რასაკვირველია, არ იზარმაცებენ.

გუნდის მწვრთნელმა რევაზ ჭანტურიამ კი გვითხრა, რომ ბიჭებს შრომისმოყვარეობა და მონდომება არ აკლიათ.

— ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ ასეთი პერსპექტიული გუნდი არასოდეს მყოლია. ადრე უფროსი ასაკის მოთამაშეებს ვაკანონებდი, შემდეგ უფრო პატარების წვრთნა გადაწყვიტე, რაკი თავდასაცვ მიშედეგებისა თვალი მაინ დასტატებისათვის. გამიმართლა, მართლაც ურიგო გუნდი არ ჩამოყალიბდა...

მკითხველისთვის რომ უფრო ნათელი იყოს, ვიტყვით, რომ ლაპარაკია თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდზე. ჯემალ ცერცვაძის სახელობის საკავშირო ტურნირი პირველად ჩაატარა ამ სკოლამ (დირექტორი ზაზა დოლიძე). პირველი გამარჯვებულიც, ცხადია, მასპინძლები გახდნენ. ტურნირში 1971 წელს დაბადებული 10 გუნდი გამოდიოდა, ბოგატიკოს თქმით, ამ ასაკის ყველა უძლიერესი ჭაბუკთა გუნდი კიევის სკოლა-ინტერნატისა და კრასნოდარის ნაკრებებს გარდა.

თბილისელებმა ზედიზედ დაამარცხეს ვორონეჟელებიც (37:26), ასტრახანის (26:19), მოსკოვის, კუნცევოს (26:16), მინსკის (23:18) წარმომადგენლები და ფინალში ან-

№ 89-ის გვ.

„მსოფლიო თასზე“, ბელგრადში

პადრაკის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს „მსოფლიო თასის“ გათამაშებას, რომელიც 6 ეტაპად ტარდება. ორი წლის განმავლობაში მისი ეგიდით სამი ტურნირი ჩატარდა, სამიც გაისად გაიმართება და საერთო გამარჯვებულს გამოავლენს. „მსოფლიო თასისთვის“ ამჟამად 25 უძლიერესი დიდოსტატი იბრძვის.

როგორც დიდოსტატთა მსოფლიო ასოციაციის (პრეზიდენტი გარი კასპაროვი) სამდივნო იუწყება, 4–13 დეკემბერს ბელგრადში ჩატარდება „მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშების დიდი შესარჩევი ტურნირი. ელიან, რომ მასში ასზე მეტი დიდოსტატი ჩაებმება.

სულ წელს და გაისად ასეთი ტურნირი სამი გაიმართება. შეჯიბრებებიდან 8-8 გამარჯვებული ფინალურ შესარჩევ ასპარეზობაში მიიღებს მონაწილეობას, სადაც 50 დიდოსტატი მოიყრის თავს. 24 გამარჯვებულს დაემატება „მსოფლიო თასის“ ამჟამინდელი ციკლის 19 მონაწილე (რომლებიც VII-XXV ადგილებზე გამოვლენ), დანარჩენები კი იმ დიდოსტატთაგან შეირჩევიან, რომელთაც მაღალი რეიტინგები ექნებათ.

ის 12 უძლიერესი დიდოსტატი, რომელიც ფინალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვებს, „მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. რაც შეეხება ახლანდელ თასის გათამაშებას, მასში ექვსი გამარჯვებული ინარჩუნებს შემდგომ ციკლში მონაწილეობის უფლებას. ამ ექვს და თორმეტ მოპადრაკეს დაემატება კიდევ 7 დიდოსტატი, რომელთაც 1991 წლის დასაწყისისთვის მაღალი რეიტინგი ექნებათ. ასე რომ, „მსოფლიო თასის“ მეორე გათამაშებაში (იგი 1991 წლიდან დაიწყება), ისევ 25 უძლიერესი დიდოსტატი მიიღებს მონაწილეობას.



ნიჭიერებს მეტი მოეთხოვებათ

(დასასრული)

გარეშით 26:21 სძლიეს უკრაინის (ბროვარი) კოლექტივს. მესამე ადგილზე მინსკელი ხელბურთელები გავიდნენ, რომელთაც მოსკოვის პიონერთა სასახლის გუნდს აჯობეს — 24:19.

— სწორედ ჩვენი გუნდი მონაწილეობდა აგვისტოში გამართულ განათლების სამინისტროს სპორტსკოლების საკავშირო ტურნირში, — განაგრძობს რევაზ ჯანტერია, — სადაც მეოთხე ადგილი დავიკავეთ. ტირასპოლში ჩვენ იმდენივე ქულა დავაგროვეთ, რამდენიც მეორე და მესამე ადგილზე გასულმა კოლექტივებმა და მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამოვრჩით მათ. როგორც ამ შეჯიბრებაში, ისევე ტირასპოლში ალიკო ბოყოჩაძე მთავარი ბომბარდირი გახდა...

ალიკო ბოყოჩაძემ (№17) ცერცვაძის სახელობის ტურნირზე მართლაც გამოიჩინა თავი და 41 ბურთი გაიტანა, ხოლო მერაბ უშვერიძე (№7) საუკეთესო ტექნიკისათვის დააჯილდოვეს. საუკეთესო მთამაშისათვის განკუთვნილი პრიზი ჩვენი გუნდის კაპიტანს ზაზა მერაბიშვილს მიეკუთვნა. გაკვირვებთ გუნდის დანარჩენ წევრებსაც: გივი ჯაფარიძე, გონა ხუბაევი, შმაგი მერაბიშვილი, თემურ კინწურაშვილი, გიორგი ბარათაშვილი, კობა ვანეიშვილი, ელიზბარ არსენიშვილი, კოტე კიკნაძე, გია კურტანიძე, ოვანეს ოჰანესიანი, დათო ღვინიაშვილი.

ხელბურთის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ ჩვენი საუკეთესო გუნდის თბილისის „ბურევესტნიკის“ დღევანდელი მდგომარეობა. არც არავინ ელის, რომ სასწრაფოდ სასიკეთოდ შეიცვლება რაიმე. იმედი უფრო მომავალ თაობაზეა, თუნდაც ამ ჰაბუკებზე, რომლებმაც თავიანთი პირველი მნიშვნელოვანი ტურნირი მოიგეს. მწვრთნელების თქმით, ეს კოლექტივი ძალზე იოლად უგებს თანატოლთა ყველა გუნდს რესპუბლიკაში, ხოლო ახლახან დამთავრებულ რესპუბლიკის ჩემპიონატში უფროსი ასაკის ხელბურთელთა შორის გუნდმა III ადგილიც კი დაიკავა.

გიორგი პავლიაშვილი.

სურათებზე: მეტოქის კარს უტევს მერაბ უშვერიძე; ჯემალ ცერცვაძე მთავარ პრიზს გადასცემს გამარჯვებული გუნდის კაპიტანს ზაზა მერაბიშვილს.

ვიქტორ ბუკიას ფოტოები.

ფეხბურთელი და მოჭადრაკე

21 წლის სიმენ აგდესტეინი ბავშვობიდანვე თამაშობს ჭადრაკს. მან დიდ წარმატებებსაც მიაღწია. მას კარგი შედეგები ჰქონდა ჰაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატებში, გახდა საერთაშორისო დიდოსტატი (სხვათა შორის, 1986 წლისთვის იგი ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი იყო საჭადრაკო სამყაროში), საპრიზო ადგილებს იკავებს სხვადასხვა პრესტიჟულ შეჯიბრებებში, დამარცხებული ჰყავს მსოფლიოს ექსჩემპიონი ბორის სპასკი, განთქმული დანიელი მოჭადრაკე ბენტ ლარსენი და სხვა ცნობილი დიდოსტატები. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, როგორც ნორვეგიის უძლიერესი მოჭადრაკე, სიმენ აგდესტეინი თავისი ქვეყნის ნაკრებს უდგას სათავეში საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადებზე და ახლახანაც გამოდიოდა სალონიკში (საბერძნეთი). აგდესტეინს ჭადრაკში თავისი კონკრეტული მიზნები აქვს — იგი აპირებს მოხვდეს მსოფლიოს ყველაზე ძლიერი 25 დიდოსტატის რიცხვში და მონაწილეობა მიიღოს „მსოფლიო თასის“ შეტად პრესტიჟულ გათამაშებაში.

აგდესტეინი გატაცებულია ფეხბურთითაც, იგი ოსლოს კლუბ „ლინის“ ცენტრალური თავდამსხმელი და ნორვეგიის ჩემპიონატის სნაიპერია მეორე ლიგის გუნდებს შორის. ამას წინათ აგდესტეინი ნორვეგიის ნაკრებშიც მოხვდა და მონაწილეობდა ქალაქ პესკარაში გამართულ მატჩში იტალიელების წინააღმდეგ.

ზაბრკვი ელის

ევროპის ჯალამბურთელ ვაჟთა ჩემპიონატ-89-ის დასკვნითი შეხვედრები გაიმართება იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში — 20-25 ივნისს. გამარჯვებულის პრიზისათვის ბრძოლის უფლება, ახლანდელ ჩემპიონ საბერძნეთის გუნდთან ერთად, მოიპოვეს ბულგარეთის, ჰოლანდიის, ესპანეთის, იტალიის, სსრ კავშირის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის ნაკრებებმა.

გუნდები თავიდან 2-2 კვარტეტად დაიყოფიან და ერთმანეთში წრიული სისტემით გაითამაშებენ ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებას. იქ კი ოლიმპიური პრინციპით — წაგებული ეთიშება ტურნირს, გამარჯვებულები გაგრძელებენ ფინალისკენ მიმავალ გზას.



აირტონ სენა

1983 წელს, როდესაც „ფორმულა 1“ კლასის პილოტთა რიგებში გამოჩნდა 23 წლის ბრაზილიელი სპორტსმენი, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სულ მალე იგი მსოფლიოს უსწრაფესი ავტომრბოლი გახდებოდა.

ეს ახალგაზრდა იყო აირტონ სენა და სილვა. იგი დაიბადა 1960 წლის 21 მარტს ბრაზილიის ქალაქ სან-პაულოში. ბავშვობაში, ისევე, როგორც ბრაზილიელთა უმრავლესობა, სენაც ფიზბურთით იყო გატაცებული და ახლაც საყვარელ სპორტად მიიჩნევს, მაგრამ შემდეგ იგი ავტოსპორტით დაინტერესდა. თავისი ხელით აწყო პატარა სარბოლი ავტომობილი — კარტი და პირველ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. შემდეგ გადასახლდა მონაკოში. მალე „ფორდი 2000“ კლასში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, 1982 წელს „ფორმულა 3“ კლასში ინგლისის ჩემპიონი გახდა. 1983 წლიდან სენა „ფორმულა 1“ კლასის მანქანებით ასპარეზობს.

1984 წელს აირტონ სენა „ტოულმენის“ ღირსებას იცავდა შვედ სტეფან იოჰანსონთან ერთად. მონაკოში მეორე იყო, ინგლისსა და პორტუგალიაში — მესამე, სამხრეთ აფრიკაში — მეექვსე. პირად ჩათვლაში მეათე ადგილს დასჯერდა, „ტოულმენი“ კი მეშვიდეს.

1985 წლიდან იწყება აირტონ სენას ტრიუმფული სვლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისკენ. ამ წელს იგი „ლოტუს-რენოს“ ღირსებას იცავდა იტალიელ ელიო დე ანჯელისთან ერთად. პორტუგალიაში პირველად მოიგო „გრან პრი“, ბელგიაში — მეორედ. ავსტრიასა და ევროპის „გრან პრის“ გათამაშებაში, რომელიც ინგლისში ტარდებოდა — მეორეა, ჰოლანდიასა და იტალიაში — მესამე. პირად ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავა, „ლოტუსმა“ კი მესამე.

1986 წელს „ლოტუს-რენოს“ უველაზე ახალგაზრდა დეტი ჰყავდა: 26 წლის აირტონ სენა და ჯონი დამფრიზი. მოტლანდიელმა სპორტსმენმა სუსტად იასპარეზა, სენა კი თავის სტიქიაში აღმოჩნდა. ერთიმეორის მიყოლებით მოიგო საკვალიფიკაციო რბოლები. ესპანეთში და აშშ-ში უძლიერესი იყო, ბრაზილიაში, ბელგიაში, გფრ-სა და უნგრეთში — მეორე, მონაკოსა და მექსიკაში — მესამე, პორტუგალიაში — მეოთხე, კანადაში — მეხუთე. 55 ქულით მეოთხე ადგილზე გავიდა, „ლოტუსი“ კვლავ მესამეზე.

1987 წელს „ლოტუსმა“ იაპონურ „ჰონდასთან“ დაიწყო თანამშრომლობა და, როგორც წესი, სენას პარტნიორიც იაპონელი — სატორუ ნაკაჰიმა გახდა. მონაკოსა და აშშ-ში ბრაზილიელმა პილოტმა უველას აჯობა, სან მარინოში, უნგრეთში, იტალიასა და იაპონიაში — მეორე იყო, ინგლისსა და გფრ-ში — მესამე, საფრანგეთში — მეოთხე, ავსტრიასა და პორტუგალიაში — მეხუთე. პირად ჩათვლაში 57 ქულით აირტონ სენა მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

„ლოტუსის“ მენეჯერთან პიტერ უორთან უთანხმოების გამო ბრაზილიელი პილოტი „მაკლარენში“ გადადის, სადაც მისი პარტნიორი გახდა მსოფლიოს ორგზის (1985, 1986 წწ.) ჩემპიონი, ფრანგი ალენ პროსტი.

1988 წელი აირტონ სენას თაყვანისცემლებს დიდხანს დაამახსოვრდებათ. ეს იყო არაჩვეულებრივი სეზონი. ბრაზილიელმა სპორტსმენმა თავის თანაგუნდელთან ერთად უველა ადრეული რეკორდი მოხსნა.

ბრაზილიაში სენამ თავისი მეჩვიდმეტე საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო. სტარტი პირველი რიგიდან აიღო, მაგრამ ტრასის 32-ე წრეზე დისკვალიფიკაცია მიიღო. სან-მარინოში კვლავ პირველი რიგიდან დაიწყო რბოლა და თავისი მეშვიდე „გრან პრი“ მოიგო. მონაკოში საწვრთნელ რბოლაში პირველი იყო. შეჯიბრების დროს ერთი წრე უველაზე სწრაფად გაიარა, მაგრამ ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღო. მექსიკაში სტარტი ისევ პირველი რიგიდან აიღო, მაგრამ ფინიშთან მეორე მივიდა. კანადაში ზედიზედ მეხუთე საკვალიფიკაციო რბოლა მოიგო და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. შეჯიბრების დროს ერთი წრე უველაზე სწრაფად გაიარა და მოხსნა სამი წლის წინანდელი ამ ტრასის თავისივე რეკორდი. აშშ-ში მეექვსე საწვრთნელი რბოლა მოიგო. „ჭეჩების შეფემ“ აქაც პირველმა დაამთავრა მომქანცველი საათნახევრიანი რბოლა. საფრანგეთში აირტონ სენა ვერაფერს გახდა ალენ პროსტის წინააღმდეგ. საკვალიფიკაციო რბოლაშიც და ფინიშთანაც მეორე იყო. საერთოდ, ჩემპიონატის ბოლოს სენამ აღიარა, რომ ალენ პროსტის დამარცხება ძალზე ძნელია და ინტერვიუს ბოლოს მადლობა გადაუხადა თავის კოლეგას ღირსეული წინააღმდეგობისათვის.



აირტონ სენა.

ინგლისში სენა სტარტზე მეორე რიგში იდგა (მესამე შედეგი), მაგრამ საბოლოოდ პირველი ადგილი დაიკავა. გფრ-ში საწვრთნელ რბოლაშიც და ფინიშთანაც პირველი იყო. უნგრეთში კვლავ მოიგო საკვალიფიკაციო რბოლა და მეელი დისტანციაც პირველმა დაამთავრა, თუმცა რომ არ გაერისკა, პირველობას თავის თანაგუნდელს დაუთმობდა. ბელგიაში კვლავ პირველია საწვრთნელ რბოლაში და ზედიზედ მეოთხე „გრან პრი“ მოიგო.

იტალიის ეტაპი აირტონ სენასთვის უველაზე დრამატული აღმოჩნდა. მან საწვრთნელი რბოლა მოიგო და 50 წრეს ლიდერობდა, მაგრამ ფინიშამდე 2 წრით ადრე ერთ-ერთ მოსახვევთან მას რბოლის დებიუტანტი, ფრანგი ან�ططლესერი შეეჯახა და ბრაზილიელი საბოლოოდ მეათე ადგილზე აღმოჩნდა.

პორტუგალიაში მეექვსე იყო. ესპანეთში მეთერთმეტე საწვრთნელი რბოლა მოიგო, მაგრამ მეოთხე ადგილი დაიკავა. იაპონიის ეტაპი მისთვის უბედნიერესი გამოდგა. სენამ სტარტი კვლავ პირველი რიგიდან აიღო და, საბოლოოდ, თავისი მერვე „გრან პრი“ მოიგო, საერთო კი მეთოთხმეტე. ბრაზილიელმა სპორტსმენმა პირველად ხუთწლიანი სპორტული კარიერის მანძილზე, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამასთან, აირტონ სენა ავტომრბოლთა შორის პირველი შევიდა „გინესის“ რეკორდების წიგნში.

დღემდე სენამ 80 რბოლაში მიიღო მონაწილეობა, მოიგო 28 საკვალიფიკაციო რბოლა და 14 „გრანპრი“. 45 ეტაპში ჩასათვლელი ქულა მიიღო, სულ კი დააგროვა 259. მის კოლექციაში, სხვა ჯილდოებთან ერთად, „ფორმულა 1“ ჩემპიონატებში მიღებული 36 პრიზია (14 პირველი, 14 მეორე და 8 მესამე).

დაბოლოს, კიდევ ერთი შეჯიბრების შესახებ, რომელიც სენამ მოიგო 1984 წელს; დასავლეთ გერმანიაში, ახალგახსნილ „ნიურბურგრინგზე“ მოეწყო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 19 უძლიერესი მრბოლი, მათ შორის მსოფლიოს 8 ჩემპიონი. უველა სპორტსმენი ასპარეზობდა თანაბრად მომზადებული „მერსედესის“ ფირმის სერიული ავტომობილით, 120 ათასი მაყურებელი მოწმე გახდა არაჩვეულებრივად დაძაბული შეჯიბრებისა. საბოლოოდ, პირველი ადგილი დაიკავა ახალგაზრდა ბრაზილიელმა სპორტსმენმა აირტონ სენამ. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: 2. ნიკი ლაუდა (ავსტრია); 3. კარლოს რეუტემანი (არგენტინა), 4. კეკე როსბერგი (ფინეთი); 5. ჯონ უოტსონი (ირლანდია); 6. დენის ჰალმი (ახალი ზელანდია).

დავით ჩუბინიძე.

ბეკერის რევანში

ნიუ-იორკი. დასავლეთგერმანელმა ბორის ბეკერმა გაიმარჯვა „გრან-პრის“ სუპერსერიაში. მან ფინალში ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი დაჯაბნა — 5:7, 7:6, 3:6, 6:2, 7:6.

შეხვედრა „მედისონ სკვერ გარდენის“ კორტზე ნამდვილ „საჩოგბურთო მარათონად“ იქცა და 4 საათსა და 43 წუთს გაგრძელდა, სადაც ბეკერი არაერთგზის იდგა „ბეწვის ხიდზე“.

სუპერსერიაში დასავლეთგერმანელი სპორტსმენის ეს პირველი გამარჯვებაა, მაშინ, როცა მის მეტოქეს ოთხი ასეთი ტურნირი აქვს მოგებული. ამასთან ლენდლმა ფინალში ორჯერ დაამარცხა ბეკერი.

„ფიზიკური დატვირთვის თვალსაზრისით ეს იყო ყველაზე მძიმე მატჩი ჩემს ცხოვრებაში“, — განუცხადა გამარჯვებულმა ჩოგბურთელმა ჟურნალისტებს. „საოცარი შეხვედრა იყო. რაც კი შემეძლო ყველაფერი გავაკეთე“. — თქვა ლენდლმა თავის მხრივ.

ზოგს ალიარება და ზოგს — სასჯელი

ნიუ-იორკი. ჯანეტ ევანსი და მეთ ბიონდი ამერიკის საუკეთესო მოცურავეებად აღიარეს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ამ ქვეყნის ცურვის ფედერაციამ. სეულის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე 17 წლის ევანსმა სამი ოქროს მედალი მოიპოვა, 22 წლის ბიონდმა კი ხუთ უმაღლეს ჯილდოს თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალიც „წაამატა“.

ფედერაციამ იმავდროულად დამტკიცა სანქციები ორი მოცურავის — ტრო დელბისა და დუგ გერტსენის მიმართ. ისინი სეულის სასტუმროში ქანდაკების მოპარვის მცდელობაში ამხილეს. ქვეყნისა და საერთაშორისო ასპარეზობებში მონაწილეობასთან ერთად ორივეს ნაკრების შეკრებებში მონაწილეობაც აუკრძალეს: დელბის — 18 თვით, გერტსენს — 1,5 წლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
64435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05637